

გამოიკვალოს მასპინძელმა გუნდმა. მოედანზე მყოფ ფეხბურთელებს ეკრძალებათ წვიცსაფრის გარეშე თამაში;

- 3.13. თბილისის ლიგაზე მოასპარეზე მასპინძელი გუნდი ვალდებულია, თითოეულ თამაშზე მსაჯებს წარუდგინოს არანაკლებ 3 სათამაშო ბურთი.
- 3.14. მასპინძელი გუნდი ვალდებულია სტადიონზე იყოლოს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, ასევე უზრუნველყოს საზოგადოებრივ წესრიგის დამცველთა საჭირო რაოდენობა;
- 3.15. მატჩის გადატანაზე და თარიღის შეცვლაზე გადაწყვეტილების მიღება ევალება თფფ-ს ბავშვთა ფეხბურთის განყოფილებას.
- 3.16. თბილისის ლიგაზე გათამაშებაში ნებადართულია მატჩის ოქმში შეყვანილი ყველა ფეხბურთელის შეცვლა. 2004 და 2005 წწ. ტურნირებში უკუშეცვლა აკრძალულია. დანარჩენ ასაკობრივ ტურნირებში უკუშეცვლა ნებადართულია. ყველა ტურნირში შეცვლა ნებადართულია, მატჩის გაჩერების შემთხვევაში.
- 3.17. სათადარიგო მოთამაშეთა მოთელვა უნდა ხდებოდეს მთავარი მსაჯის მიერ მითითებულ ადგილზე;
- 3.18. გუნდებს შეუძლიათ, მოითხოვონ თამაშის გადატანა იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში გამოძახებული მათი 5 ან მეტი ფეხბურთელი;
- 3.19. მატჩის დაწყების დროს განსაზღვრავს თფფ.

#### 4. გუნდების განაცხადების გაფორმება

- 4.1 გუნდებმა განაცხადები თფფ-ში, უნდა წარმოადგინონ არა უგვიანეს 2018 წლის 15 აპრილისა.
- 4.2 გუნდის განაცხადი მოწმდება სკოლის დირექტორის (პრეზიდენტის) ხელმოწერით და სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი ბეჭდით; ასევე ბავშვთა ჩემპიონატებში გუნდები რომლებიც ითამაშებენ აფფ-ში და სფფ-ში ვალდებულიები იქნებიან განაცხადზე მოითხოვონ თფფ-ს თანხმობის ბეჭედი.
- 4.3 გუნდის განაცხადი დგება 3 ეგზემპლარად. განაცხადთან ერთად უნდა წარმოადგინონ საფეხბურთო სკოლის წესდების და რეგისტრაციის ასლები. ფეხბურთელის დაბადების მოწმობის ასლი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პასპორტი, ან პირადობის მოწმობა, ან ფორმა N 1).
- 4.4 გუნდიდან გუნდში მოთამაშის გადასვლა ნებადართულია პირველი წრის ან სეზონის დასრულების შემდეგ. განაცხადში ფეხბურთელის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 30-ს.
- 4.5 ჩემპიონატის საწევრო თანხა განისაზღვროს შემდეგნაირა:

2004 წ. დაბადებულ ჭაბუკებში ----- 1300 ლარი

2005 წ. დაბადებულ ჭაბუკებში ----- 700 ლარი

2006 წ. დაბადებულ ჭაბუკებში ----- 700 ლარი

2007 წ. დაბადებულ ჭაბუკებში ----- 700 ლარი

